ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

I კვარტალი, 2022

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

<u>საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება</u>

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში პოლიციის როლი უმნიშვნელოვანესია, რაც გულისხმობს, როგორც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტების შემუშავებასა და ინიცირებას, ასევე, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და რეგულირების მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას. 2021 წელს საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა და ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი მძღოლებისთვის სასჯელი გამკაცრდა. ამასთანავე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რითაც მოხდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება შესაბამის დირექტივებთან.

  მძიმე შედეგების დადგომა, რასაც ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა იწვევს და ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სწორედ ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის პრევენციის მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მხარდაჭერით შეიქმნა ვიდეორგოლი. იგი მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებას. ვიდეორგოლი, სლოგანით - „მთვრალი საჭესთან მკვლელია“, 2021 წლის 24 დეკემბრიდან, სოციალური რეკლამის სტატუსით, 9 ტელეარხის ეთერებში განთავსდა და 2022 წლის თებერვლამდე გადიოდა.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ასრულებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრ

ვალდებულებას. მომსახურების სააგენტომ მოპედების რეგისტრაციის, მართვის მოწმობის და რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების კამპანიის ფარგლებში, 6 გრაფიკული ვიდეორგოლი მოამზადა.

2022 წლის 24 იანვრიდან, მომსახურების სააგენტოს „Facebook" გვერდზე განთავსდა 3 გრაფიკული ვიდეორგოლი.

2022 წლის 9 მარტიდან, სოციალური რეკლამების სახით, სატელევიზიო ეთერებში გაეშვა 3 გრაფიკული ვიდეორგოლი. ასევე, აღნიშნული ვიდეორგოლები აიტვირთა სააგენტოს „Facebook" გვერდზეც.

2022 წლის 28 მარტიდან სავალდებულო გახდა მოპედისა და მსუბუქი კვადროციკლის რეგისტრაცია და „AM" კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვება. სააგენტომ გაავრცელა პრესრელიზი და მონაწილეობა მიიღო „პირველი არხის" დილის გადაცემაში.

<u>თბილისის პოლიციის დეპარტამენტი - მართლწესრიგის ოფიცრები</u>

- თბილისის პოლიციის დეპარტამენტში მართლწესრიგის ოფიცრის რეფორმა განხორციელდა და მართლწესრიგის ინსტიტუტი დედაქალაქის მასშტაბით სრულად ამოქმედდა. ყველა რაიონში, თბილისის მთავარ სამმართველოებში, სრულად იქნა შეყვანილი მართლწესრიგის ოფიცრები. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, მიზნად ისახავს პოლიციის პრევენციული საქმიანობის გაძლიერებას. აღნიშნული მოდელი მსოფლიოში დანაშაულის პრევენციის აპრობირებული ინსტრუმენტია.
  მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენცია მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: არასრულწლოვანებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება. მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქცია-მოვალეობებში ასევე შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება.

23 თებერვლიდან მართლწესრიგის ოფიცრები თბილისის ყველა რაიონში მუშაობენ.
აღნიშნული სიახლის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ონლაინპლატფორმაზე, საინფორმაციო სააგენტოებში და სოცქსელების საშუალებით. ასევე, 23 თებერვალს საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა ინფორმაცია აღნიშნული სიახლის შესახებ და საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა სიუჟეტები მართლწესრიგის ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ. 24 თებერვალს, ერთ-ერთი ტელევიზიის დილის გადაცემაში მიწვეული იყვნენ მართლწესრიგის ოფიცრები, სადაც მათ ისაუბრეს თავიანთ საქმიანობაზე. 24 თებერვალს განხორციელდა მართლწესრიგის ოფიცრების სტუმრობა რადიოეთერში.

<u>საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი -„112“</u>

- შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ COVID-19-ის პანდემიის მართვის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა სპეციალური პორტალი (https://er.moh.gov.ge/). საქართველოს მოქალაქეს, ვისაც დაუდასტურდება COVID-19, „112“-ში სატელეფონო კონსულტაციის ნაცვლად, შეუძლია აღნიშნულ პორტალზე დარეგისტრირება, რის შემდეგაც, მიღებული ინფორმაცია „112“-ის მიერ მუშავდება და შემდგომი მონიტორინგისათვის ოჯახის ექიმს გადაეცემა. ამ სიახლის შესახებ ინფორმაცია განთავსდა „112“-ის ოფიციალურ „Facebook” გვერდზე, ასევე გაშუქდა საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით.

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ პანდემიის დაწყებიდანვე აქტიურადაა ჩართული კორონავირუსის მართვის პროცესში, რათა თითოეულმა მოქალაქემ დროული და მაღალკვალიფიციური მომსახურება მიიღოს.
  საქართველოში კორონავირუსის შემთხვევებისა და მომართვიანობის გაზრდასთან ერთად, შეუფერხებლად დაკავშირებისთვის „112“ სამ არხად დაიყო:
  112 - გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება
  112-1 - პოლიცია და სახანძრო-სამაშველო სამსახური
  112-2 – „Covid-19“

2022 წლის პირველ კვარტალში „112“-მა განცხადებით მიმართა მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და არამიზნობრივად არ დარეკონ 112-ზე. აღნიშნული განცხადება განთავსდა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ „Facebook” გვერდსა და ოფიციალურ ვებგვერდზე.

- 11 თებერვალს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება 112-ის დღე. აღნიშნული დღის ფარგლებში, რამდენიმე აქტივობა განხორციელდა.
  ბანერი განთავსდა ოფიციალურ „Facebook” გვერდზე, სადაც აღნიშნულია, რომ 112-ის ოპერატორები 24 საათის განმავლობაში, მთელი საქართველოს მასშტაბით იღებენ შეტყობინებებს გადაუდებელი დახმარების საჭიროების შესახებ და ინფორმაციას გადასცემენ შესაბამის საგანგებო სამსახურებს. აგრეთვე, აღნიშნულია, რომ „2021 წელს 112-ის ოპერატორებმა 4.718.588 ზარს უპასუხეს“.

- „112“-ის დირექტორმა სატელევიზიო პირდაპირი ეთერის საშუალებით, თანამშრომლებს 112-ის დღე მიულოცა და მადლობა გადაუხადა თავდაუზოგავი შრომისთვის. აგრეთვე, გადაცემაში „112“-ის ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსმა, ცნობიერების ამაღლების კუთხით განხორციელებულ აქტივობებზე ისაუბრა.
  აღნიშნული გადაცემის ჩანაწერი განთავსდა სატელევიზიო გადაცემის ოფიციალურ „Facebook” გვერდსა და ტელევიზიის ვებგვერდზე, ასევე „112“-ის ოფიციალურ „youtube“ არხზე.
  „112“-ის ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსმა, რადიოჩართვაში 112-ის დღესთან დაკავშირებით ისაუბრა და მოსახლეობას კიდევ ერთხელ მიაწოდა ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების ნომრის და „112“-ში განხორციელებული პროექტების შესახებ.
  აღნიშნული გადაცემის ჩანაწერი განთავსდა რადიოსადგურის ვებგვერდზე.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ახორციელებს ლიცენზირებული, ავტორიზებული, სანებართვო და სარეგისტრაციო დაწესებულებების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შესაბამისობის დადგენას მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

2022 წლის 2 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის №101 დადგენილება, რომლის საფუძველზეც, 2023 წლის 1 ივნისიდან, ფართოვდება რეგულაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების რაოდენობა. განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, პირთა უსაფრთხოებისა და საკუთრების უფლების დაცვას. ვიდეომეთვალყურეობას დაქვემდებარებული ობიექტების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით სიახლის შესახებ ინფორმაცია განთავსდა „112“-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

<u>საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</u>

- ერთ-ერთ ბეჭდურ ჟურნალში (2022 წლის პირველი კვარტლის ნომერში) დაიბეჭდა ზამთრის სეზონზე მომატებული ურბანული ხანძრების შესახებ სტატია, რომელიც საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის ქცევის წესებს შეეხებოდა.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს სამთო-სამაშველო ტექნიკის საკითხებზე და სათხილამურო ტრასებზე უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის შესახებ, აგრეთვე, ზვავსაშიშ ზონებში სამაშველო ოპერაციების ჩატარების მიმართულებით სპეციალური სწავლება ჩაუტარდათ. ერთკვირიანი კურსი, რომელიც გუდაურში მიმდინარეობდა, მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ სავარჯიშოებს. ტრენინგში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები.
  სწავლებას ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამთო სამსახურის ინსტრუქტორები უძღვებოდნენ. კურსის მიმდინარეობისას ავსტრიელმა ექსპერტებმა ქართველ მსმენელებს გამოცდილება გაუზიარეს თოვლში სამაშველო სამუშაოების დროს სპეციალური საძიებო დეტექტორების გამოყენების, ზვავში დაშავებულთა ტრანსპორტირების, გაუკვალავ თოვლში თხილამურებით გადაადგილების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სამთო-სამაშველო ტექნიკის საკითხებზე სწავლება საქართველოში ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეს - გერალდ ჰიორმანის მხარდაჭერით განხორციელდა.
  აღნიშნული ინფორმაცია „Facebook” გვერდზე განთავსდა 10 მარტს.

<u>საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი</u>

- 2022 წლის მარტი - ორგანიზაცია **PH International-ისა და** აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს **(INL)** მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი - „პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში **(CPI)**“. პროექტის მიზანი იყო მოზარდებს შორის დანაშაულის პრევენცია ადგილობრივი თემისა და სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლობის გაუმჯობესების გზით, ასევე, პოლიციის საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშეწყობა.

- 2022 წლის მარტი - შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (**UNDP**) მხარდაჭერით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ კასკადური ტრენინგები დაიწყო.
  სწავლება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულების და საშინაო საქმეების გუნდის ხელმძღვანელმა და გაეროს განვითარების პროგრამის (**UNDP**) დემოკრატიული მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელმა გახსნეს. სწავლების მიზანს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ ცოდნის გაღრმავება და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალურ ვებგვერდსა და „Facebook” გვერდზე განთავსდა.